



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოლონია იუა აბასის ძე

კოლონია იუა აბასის ძე [28. X(10. XI). 1903, სოფ. კუტოლი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, – 15. VI. 1928, სოხუმი], აფხაზი პოეტი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აფხ. ეპიკური პოეზიის განვითარებაში. 1924–25 გამოქვეყნებული მისი პოემები „ზოსჰან არბა და ჟანაა ბესლანის ვაჟიშვილები“, „ნავეი და მზაუჭი“, „მონადირე ხმიჭი“, „აბათაა ბესლანი“ გამოიჩინა ცხოვრების ღრმა ცოდნით, ჰეროიკული სულისკვეთებითა და ოპტიმისტური ჟღერადობით. კ-მ გამოკვეთა უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, მაღალი სულისა და კეთილშობილ მისწრაფებათა მქონე ეპიკურ გმირთა სახეები. მის პოემებში მხატვრულად აისახა ფოლკლორის მოტივები. კ-ს ლირიკული ლექსები ეძღვნება აფხაზეთს, მის ანმეოსა და მომავალს.

ლიტ.: აფხაზური ლიტერატურა, თბ., 1975.
